

ეთიკის სტანდარტები

დამტკიცებულია სკბოს-ს საერთო კრების მიერ 26.12. 2015 წელს

შესავალი

საქართველოს კოგნიტიურ-ბიჰევიორული საზოგადოების (სკბოს) პროფესიული ქცევის კოდექსის მიზანს წარმოადგენს სკბო ეთიკური პრინციპების და საზოგადოების წევრების ქცევის ნორმების განსაზღვრა.

ეს დოკუმენტი შესაძლოა გამოყენებულ იქნას განსაკუთრებულ შემთხვევებში: მაგალითად, როდესაც მიზანშეწონილია განცხადების გაკეთება სასამართლო პროცესზე, თუ რამდენად ჯდება საზოგადოების წევრის ქცევა, მისი პრაქტიკული საქმიანობის დროს, ეთიკური კოდექსის ჩარჩოებში.

პროფესიული ქცევის ეთიკური პრინციპების კოდექსი ვერ ფარავს ყველა პოტენციურ ეთიკურ, ასევე, ქცევის და კომპტენციის საკითხს. ამდენად, სკბო წევრები მნიშვნელოვნად დამოკიდებულნი არიან საკუთარ სიდრმისეულ შეფასებზე, პირად პრინციპებზე და აზროვნების სტილზე. ფსიქოთერაპევტი ესწრაფის დაიცვას ეთიკური პრაქტიკა და ქცევის კოდექსი, მაშინაც კი, როცა ასეთი ქცევა მოიცავს გადაწყვეტილების მიღების სირთულეებს ან უშიშარ ქმედებას, მისი მხრიდან.

- ფსიქოთერაპიის ჩატარების პროცესში, ფსიქოთერაპევტი იღებს პასუხისმგებლობას, პატივი სცეს პაციენტის უმთავრეს (უმნიშველოვანეს) ინტერესებს. ფსიქოთერაპევტი პასუხისმგებელია უმკურნალოს პაციენტებს (მათ მიმართ) პატივისცემით.
- ფსიქოთერაპევტი პასუხისმგებელია, რომ არ მოხდეს მას და პაციენტებს შორის არსებული (ამჟამინდელი თუ წარსულში) ურთიერთობის გამოყენება/ექსპულატაცია, ნებისმიერი მიზნით, ფსიქოთერაპევტის სექსუალური, ემოციური ან ფინანსურის სარგებლის ჩათვლით.
- ფსიქოთერაპევტი პასუხისმგებელია არ შევიდეს პაციენტთან სექსუალურ ურთიერთობაში.
- ფსიქოთერაპევტს მოეთხოვება სიფრთხილით აწონ-დაწონოს/გაითვალისწინოს პაციენტთან მრავალმხრივ ურთიერთობაში შესვლის შედეგები და ყოველი დონე იხმაროს, რომ თავი აარიდოს პაციენტთან ისეთ ურთიერთობებში შესვლას, რომელიც სარისკოა არსებული (თერაპიული) კავშირისთვის, რაც საბოლოოდ არაპირდაპირ აისახება პაციენტზე. მაგალითად, მრავალმხრივი ურთიერთობა შეიძლება იყოს სოციალური ან კომერციული ურთიერთობა თერაპევტ-პაციენტს შორის, ან მაკონტროლებლის ფუნქცია, რომელიც გასდევს თერაპიულ ურთიერთობას. როცა მრავალმხრივი ურთიერთობები გარდაუვალია, მაგალითად, მცირე მოცვის სოცუმში, მაშინ ფსიქოთერაპევტი იღებს პასუხისმგებლობას, რომ ნათელი მოჰფინოს და მართოს ეს კავშირები და დაიცვას კონფიდენციალურობა.
- ფსიქოთერაპევტი იღებს პასუხისმგებლობას თერაპიის ხანგრძლივობაზე, (აშლილობის) ამოწურვის დროზე. შემდგომში, სანამ, რაიმე სახის არათერაპიულ, პირად ან საქმიან ურთიერთობას დაამყარებს მის ყოფილ პაციენტთან, დიდ ყურადღებას უთმობს რაციონალურ განსჯას.
- ფსიქოთერაპევტი დიდ ყურადღებას უთმობს მისი პაციენტის ავტონომიურობის დაცვას.
- ფსიქოთერაპევტი პასუხისმგებელია იმაზე, რომ არ მიადგეს ზიანი პაციენტს, ან საიდუმლოდ არ გაურიგდეს პაციენტს, ვინმესთვის ზიანის მიყენებაზე.
- ფსიქოთერაპევტი პასუხისმგებელია იცოდეს და ერკვეოდეს მის ლეგალურ ვალდებულებებში, ბაშვებთან და მოწყვლად უფორსებთან დაკავშირებით და იმოქმედოს შესაბამისად, როცა ბავშვი ან მოწყვლადი უფროსი ზიანის მიღების რისკის ქვეშაა.
- ფსიქოთერაპევტს უნდა ახსოვდეს, რომ პროფესიული ცხოვრების მიღმა, მის ქცევას, შესაძლოა, ჰქონდეს გავლენა მის პაციენტებთან ურთიერთობაზე, და საკუთარ თავზე აიღოს პოტენციურ ნეგატიურ და პოზიტიურ შედეგებზე მუშაობის პასუხისმგებლობა, პაციენტის სასარგებლოდ.
- ფსიქოთერაპევტი პასუხისმგებელია არ იმოქმედოს ისე, რომ ზიანი მიადგეს პაციენტს ან კოლეგას, რაც იქნება, მისი მხრიდან, ზემოთ მოყვანილი ფაქტორების ბოროტად გამოყენება.
- ფსიქოთერაპევტი პასუხისმგებელია პატივი სცეს და დაიცვას პაციენტის კონფიდენციალურობა, ყოველთვის, როცა ეს შესაფერისია, გარდა იმ ეთიკური და ლეგალური სიტუაციებისა, როცა ფსიქოთერაპევტმა უნდა დაარღვევოს კონფიდენციალურობა მესამე მხარესთან.
- იმ შემთხვევაში, როცა კანონი ფსიქოთერაპევტს ავალდებულებს იურიდიულ და/ან ადმინისტრაციულ პროცედურებში ჩართვას, იგი უფლებამოსილია იმთავითვე მიიღოს ახსნა-განმარტება შესაბამისი ორგანოებიდან, თუ რა ზიანი შეიძლება მიყენოს აღნიშნულმა, სხვა პაციენტებთან მიმართებაში, კონფიდენციალურობის დაცვას. ამ დროს ფსიქოთერაპევტმა უნდა შეინახოს მიღებული წერილობითი ახსნა-განმარტება, სანამ ეს სიტუაცია ამოიწურება, შესაბამისად, ითხოვოს ლეგალურ და ეთიკურ საკითხებთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

- ფსიქოთერაპევტი ვალდებულია მიიღოს ზომები, პაციენტის უსაფრთხოების და ანონიმურობის დასაცავად. როდესაც არსებობს ალბათობა იმისა, რომ რაიმე ფორმით პაციენტის შესახებ ინფორმაცია გასაჯაროვდება, ყოველთვის მიიღოს პაციენტისგან ინფორმირებული თანხმობა, ვინიდან რისკის ქვეშაა მისი უსაფრთხოების და ანონიმურობის დაცვა. იმ შემთხვევებშიც, როდესაც პაციენტმა, ან ყოფილმა პაციენტმა შესაძლოა, ამოიციოს საკუთარი თავი შემთხვევის მასალებში, მიუხედავად შეცვლილი სახელისა და არსებული გარემოებებისა.
- ფსიქოთერაპევტი აცნობიერებს, რომ მის პროფესიულ და პიროვნულ ქცევას შესაძლოა ჰქონდეს დადებითი და უარყოფითი ეფექტი, იმის მიხედვით, თუ როგორ განიცდება/აღიქმება პაციენტის მიერ. ფსიქოთერაპევტი, მთელი თერაპიული პროცესის განმავლობაში კრიტიკულად აკვირდება ამ ეფექტებით გამოწვეულ შედეგებს, რომელმაც შესაძლოა იმოქმედოს თერაპიულ ალიანსზე და წინა პლანზე დადაყენოს პაციენტის უმთავრესი ინტერესები.
- კონფიდენციალურობასთან და ეთიკის კოდექსის სხვა ძირითად საკითხებთან დაკავშირებით, ფსიქოთერაპევტი ვალდებულია ითანამშრომლოს ყველა კანონდამცავ გამოძიებასთან, ან მოკვლევასთან, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მისი ფსიქოთერაპიული პრაქტიკის შესაბამისად. ფსიქოთერაპევტის მხრიდან კოლეგებთან, ან შესაბამისი პროფესიულ ასოციაციის წევრებთან კონსულტირება, ან ლეგალური კონსულტაციის მიღება საუკეთესო პრაქტიკის ინდიკატორია.
- თუ ფსიქოთერაპევტი იხდის პირობით სასჯელს, ან პოლიციის მიერ გაფრთხილებულია, საქართველოს კოგნიტურ-ბიჰევიორული საზოგადოება განიხილავს საკითხს, რამდენად გადაჯაჭვულია ფსიქოთერაპევტის პროფესიული პრაქტიკა მის დანაშაულთან; შეფასდება პოტენციური რისკი პაციენტთან ან საზოგადოებასთან მიმართებაში; შესაძლებელია მიიღებულ იქნას გადაწყვეტილება, საზოგადოებიდან გარიცხვის და წევრობის სიიდან ამოღების შესახებ.
- ფსიქოთერაპევტი ვალდებულია დოკუმენტურად დაასაბუთოს საკუთარი კვალიფიკაცია (დამადასტურებელი დოკუმენტი) პაციენტის და სასამართლოს წინაშე, შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში.
- ფსიქოთერაპევტი ვალდებულია ზუსტად იცოდეს თავისი გამოცდილების და თერაპიული ინტერვენციის საზღვრები; მუდმივად იზრუნოს პროფესიულ უნარების ამაღლებაზე და კომპეტენციის შენარჩუნებაზე.
- თუ, ფსიქოთერაპევტისთვის ნათელი გახდა, რომ კონრეტული შემთხვევა სცილდება ფსიქოთერაპიული პრაქტიკის შესაძლებლობებს, ფსიქოთერაპევტი ვალდებულია ამის შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია პაციენტს და, სადაც შესაძლებელია, შეთავაზოს ალტერნატიული ფსიქოთერაპევტი ან სხვა პროფესიონალის მოსახურება, საჭიროების მიხედვით.
- ფსიქოთერაპევტი ვალდებულია ზედმიწევნით მისდიოს საქართველოს კბთ საზოგადოების დებულებას და იმოქმედოს განათლების, ტრენინგის და პრაქტიკის სტანდარტების შესაბამისად.
- ფსიქოთერაპევტი ვალდებულია ჩაერთოს პროფესიული განვითარების გრძელვადიან პროცესში, რასაც „უწყვეტი პროფესიული განვითარება“ ჰქვია, ზედმიწევნით მისდიოს „უწყვეტი პროფესიული განვითარების“ და სკბთს დებულებას, ასევე, შესაბამისი უმაღლესი განათლების დაწესებულების პოლისს.
- ფსიქოთერაპევტი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს კომპეტენტური მომსახურება, დაგეგმოს პაციენტის სუპერვიზია და მიიღოს სხვა საჭირო მხარდამჭერი ზომები, რათა უკლებლივ ყველა პაციენტთან იქნას დაკმაყოფილებული ფსიქოთერაპევტის პროფესიული ვალდებულებები; აგრეთვე, აიღოს პასუხისმგებლობა პაციენტის გადამისამართების საკითხზე, მისი უმთავრესი ინტერესების გათვალისწინებით; თუ რომელ პროფესიონალთან და როგორ იქნება უმჯობესი პაციენტის მიმართვა და ამასთან დაკავშირებით, დეტალური ახსნა-განმარტების მიწოდება.
- ფსიქოთერაპევტი მიღებისთანავე უთანხმებს პაციენტს ან მომავალ პაციენტს მკურნალობის პირობებს: ანაზღაურებას და სხვა სახის მოთხოვნებს; განუმარტავს თერაპიულ პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორცაა თერაპიის ხანგრძლივობა, პრაქტიკაში გამოყენებული მეთოდები, გადამისამართების თუ/და თერაპიის დასრულების საკითხები.
- ფსიქოთერაპევტი და პაციენტი თანხმდებიან, რომ ფსიქოთერაპევტი მიაწოდებს ინფორმაციას ეთიკის კოდექსის და პრაქტიკული საქმიანობის ყველა საკითხზე, რაზედაც იმთავითვე შეთანხმდებიან, (სასამართლოში) ჩივილის პროცედურების ჩათვლით.
- ფსიქოთერაპევტი ვალდებულია, პაციენტის უნარების შესაბამის კონტექსტში, ზოგადად განუმარტოს: მუშაობის კლინიკური მეთოდები; აუხსნას, რომ თვისუფალია ამა თუ იმ თერაპიულ ინტერვენციის არჩევანში.
- ფსიქოთერაპევტი პასუხისმგებელია მასზე, რომ პაციენტს არ შეექმნას მცდარი შთაბეჭდილება, ფსიქოთერაპიის ბუნებაზე და პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებით.
- ფსიქოთერაპევტი უფლებამოსილია პაციენტს განუმარტოს ყველა იმ კვლევის მიზანი და პირობები, რაშიც იქნება ჩართული პაციენტი და მიიღოს მისგან ინფორმირებული (წერილობითი) თანხმობა თერაპიულ პროცესში და კვლევაში მონაწილეობაზე.
- ფსიქოთერაპევტი თერაპიის დაწყებისთანავე უთანხმებს პაციენტს, რომ შეინახავს ჩანაწერებს, რადგან ეს

საჭიროა შეთავაზებული ფსიქოთერაპიული პროცესის სწორად წარმართვისათვის.

- ფსიქოთერაპევტი უფლებამოსილია საიდუმლოდ შეინახოს და დაიცვას პაციენტის ყველა პერსონალური ჩანაწერი ან მონაცემი უსაფრთხოდ, რათა დაიცვას პაციენტის კონფიდენციალურობა.
- ფსიქოთერაპევტი არ იმუშაობს პაციენტთან დროის იმ პერიოდში სანამ, ფიზიკური თუ ფსიქიური ჯანმრთელობის, ან სხვადასხვა წამლების ან ალკოჰოლის, ან ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენების გამო, პაციენტი ვერ ერთვება თერაპიულ პროცესში.
- ფსიქოთერაპევტი იღებს პასუხისმგებლობას, პაციენტის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის რისკების მინიმიზირების მიზნით ზომების მისაღებად, და მოქმედებს პროფესიული ვალდებულების შესაბამისად.
- ფსიქოთერაპევტი ვალდებულია ფრთხილად დეტალურად განიხილოს და პაციენტთან ერთად გაანალოზოს ის შემთხვევა, როცა პაციენტი მასთან შესაძლოა ვერ დაკავშირდეს (ანუ როცა ფსიქოთერაპევტი მოულოდნელად მიუწვდომელია პაციენტისთვის, მაგ. ფსიქოთერაპევტის ავადმყოფობის ან გარდაცვალების შემთხვევაში), გაარკვიოს რა სახის მხარდაჭერა დასჭირდება მას ამგვარ სიტუაციებში.
- ფსიქოთერაპევტი ვალდებულია განაცხადოს მისი ან სხვა ფსიქოთერაპევტის მხრიდან, ეთიკური პრინციპების და ქცევის კოდექსის დარღვევის შესახებ საქართველოს კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის საზოგადოებაში, რომლის წევრიცაა.
- ფსიქოთერაპევტი ვალდებულია მის მიერ გაკეთებული ყველა განაცხადება, თუ რეკლამა შეესაბამებოდეს სიმართლეს, არ იყოს სიცრუე, სიყალბე და/ან გაბუქული.
- ფსიქოთერაპეტი ვალდებულია, რომ მისი თერაპიული პრაქტიკის წარმოჩინება და/თუ რეკლამირება, იძლეოდეს სწორი და რაციონალური ინფორმაციის მიწოდების გარანტიას.
- ფსიქოთერაპევტი არ აკეთებს გაუმართლებელ განცხადებებს გარკვეულ თერაპიულ მიდგომებთან ან ფსიქოთერაპევტთან დაკავშირებით, ასევე არ იყენებს პაციენტთან დაკავშირებულ ინფორმაციას სარეკლამო მასალად.
- ფსიქოთერაპევტი უფლებამოსილია დაარწმუნოს შესაბამისი სადაზღვევო კომპანია ან დამქირავებელი, რომ ადექვატურად იქნას დაფარული ფსიქოთერაპევტის პროფესიული საქმიანობა.
- ჩივილის შემთხვევაში, ფსიქოთერაპევტი იღებს პასუხისმგებლობას, რეალისტურად მიუდგეს და გაგებით მოეკიდოს შესაბამის პროცედურებს იმისდა მიხედვით, თუ როგორია ფსიქოთერაპიული პრაქტიკის შესახებ კანონით დადგენილი ლეგალური პასუხისმგებლობა.
- ფსიქოთერაპევტი ვალდებულია არ შევიდეს გარიგებაში სხვა პროფესიონალებთან და კოლეგებთან, რომელიც ზიანის მომტანი იქნება პაციენტისთვის.